

სასწავლო კურსის (მოდულის) სილაბუსი

სასწავლო კურსის დასახელება	ინგლისური ენის ისტორია
სასწავლო კურსის (მოდულის) კოდი	-
სასწავლო კურსის სტატუსი	სავალდებულო კურსი ანგლისტიკის მიმართულების ბაკალავრიატის მეოთხე კურსის სტუდენტებისათვის
ECTS	5 კრედიტი (125 საათი) 45 საკონტაქტო საათი (კვირაში 3 საათი) 80 საათი დამოუკიდებელი მუშაობისათვის
ლექტორი (ლექტორები)	ასოცირებული პროფესორი თინათინ მარგალიტაძე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ანგლისტიკის მიმართულება, ლექსიკოგრაფიული ცენტრის სამეცნიერო ხელმძღვანელი  საკონტაქტო ინფორმაცია: ტელ: 890 269555 (სამს) 890 262525 (ბინა) ელ. ფოსტა: <a href="mailto:tinatin@margaliti.ge">tinatin@margaliti.ge</a>
სასწავლო კურსის მიზნები	სასწავლო კურსი “ინგლისური ენის ისტორია” სტუდენტებს აცნობს ინგლისური ენის თხუთმეტსაუკუნოვანი ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს, მისი ფონოლოგიური და მორფოლოგიური სისტემების ევოლუციას, ლექსიკის ზრდას, ლინგვისტურ თუ ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს, რომელთაც გავლენა მოახდინეს ინგლისური ენის ცვლილებაზე.  თეორიული კურსი მიზნად ისახავს სტუდენტს გამოუმუშავოს ინგლისური ენის მოვლენებზე დაკვირვების უნარ-ჩვევები, თანამედროვე და ისტორიული მოვლენების დაკავშირების, მათი მეცნიერული ახსნის და ენის თავისებურებების უფრო ღრმად ჩასწვდომის უნარი.
სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები	ინგლისური ენის ისტორიის” კურსის გავლამდე სტუდენტს სასურველია მოსმენილი ჰქონდეს: “თეორიული ფონეტიკა”; “თეორიული გრამატიკა”; “ლექსიკოლოგია”.
სასწავლო კურსის ფორმატი	ლექცია/სემინარი (14), პრაქტიკუმი (6), შუალედური შემოწმება (1)
სასწავლო კურსის შინაარსი	იხ. დანართი 1.

შეფასება	<p>დასწრება 10 ქულა</p> <p>შუალედური შემოწმება 20 ქულა</p> <p>(ტარდება წერიტი შუალედური შემოწმება. სტუდენტს ეძლევა ორი საკითხი, თითოეული ფასდება 10 ქულით; <b>9-10 ქულა:</b> პასუხი სრულია; საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია დასჯულია. სტუდენტი ზედმინეწებით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა; <b>7-8 ქულა:</b> პასუხი სრულია, მაგარამ შეკვეცილი; ტერმინოლოგიურად გამართულია; საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული; არსებითი შეცდომა არ არის; სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა; <b>5-6 ქულა:</b> პასუხი არასრულია; საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია ნაკლოვანია; სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგარამ აღნიშნება მცირეოდენი შეცდომები; <b>3-4 ქულა:</b> პასუხი არასრულია; ტერმინოლოგია მცდარია; საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ; სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა; აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა);</p> <p>სემინარი-პრეზენტაცია 30 ქულა</p> <p>(სტუდენტმა უნდა ჩააბაროს 15 თემა, თითოეული ფასდება 2 ქულით. სტუდენტის შეფასებისას მნიშვნელობა ექცევა საკითხის ცოდნას, ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის დამუშავებას, საკითხის გადმოცემის უნარს, მეტყველების კულტურას, ანალიზისა და სინთეზის უნარს);</p> <p>საბოლოო გამოცდა 40 ქულა (წერა)</p> <p>(სტუდენტს ეძლევა 4 საკითხი. თითოეული საკითხი ფასდება 10 ქულით. შეფასების კრიტერიუმები იხილეთ ზევით, შუალედური შეფასება ).</p> <p>სტუდენტის შეფასებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ ფაქტობრივი მასალის ფლობას, არამედ მასალის კრიტიკული ანალიზის უნარს.</p> <p>საბოლოო გამოცდაზე დამკვების წინაპირობა: 20 ქულა</p>
სავალდებულო ლიტერატურა	Rastorguyeva T.A. History of English. M., 1983;
დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა	<ol style="list-style-type: none"> <li>1. R. Quirk. A Grammar of Old English. M., 1955</li> <li>2. M. Schlauch. The English Language. L., 1964;</li> <li>3. Dick Leith. A Social History of English. London, 1983;</li> <li>4. A.C. Baugh, T. Cable. A History of the English Language. London., 2003</li> </ol> <p>მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია ლექსიკოგრაფიული ცენტრის ბიბლიოთეკაში</p>
სწავლის შედეგები	“ინგლისური ენის ისტორიის” კურსის გავლის შემდეგ, სტუდენტი

	<p>შეიძენს საფუძვლიან ცოდნას იმის შესახებ, თუ როგორი იყო ინგლისური ენა ძველ და საშუალო ინგლისურ პერიოდებში; რა ლინგვისტურმა და ექსტრალინგვისტურმა ფაქტორებმა იმოქმედეს ინგლისური ენის ასეთ რადიკალურ ცვლილებებზე; ამავე დროს ისინი უკეთ გაიგებენ თანამედროვე ინგლისურ ენას და ღრმად ჩასწვდებიან მის თავისებურებებს.</p> <p>ინგლისური ენის ისტორიის შესწავლა სტუდენტს ეხმარება თანამედროვე ინგლისური ენის უკეთ დაუფლებაში და დახმარებას გაუწევს მომავალ პედაგოგიურ, სამეცნიერო თუ სხვა საქმიანობაში, რაც მის პროფესიასთან იქნება დაკავშირებული.</p> <p><b>ტრანსფერული (ზოგადი) უნარები:</b>  ახალი ინფორმაციის ანალიზი დარგის შესაბამისი მეთოდების გამოყენებით;  შესაბამისი ლიტერატურიდან პროფესიული ინფორმაციის მოძიებისა და კრიტიკული შეფასების უნარი;  კომუნიკაცია მკაფიოდ და ეფექტურად;  პრაქტიკულ საქმიანობაში ავტონომიურობის დემონსტრირების უნარი;  პრეზენტაციის, ჯგუფში ეფექტურად მუშაობის უნარი;  საინფორმაციო ტექნოლოგიების, როგორც სასწავლო ინსტრუმენტის გამოყენების უნარი.</p>
<p>სწავლებისა და სწავლის მეთოდები</p>	<p>სასწავლო პროცესი ითვალისწინებს : 13 ინტერაქტიული ლექცია - სემინარი (დასწრება ფასდება 10 ქულით), სემინარი/პრეზენტაცია (ფასდება 30 ქულით), შუალედური შემოწმება (20 ქულა), პრაქტიკუმი. ლექციასა და სემინარზე გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები: ვერბალური, დემონსტრირების, ახსნა-განმარტების, დისკუსიის, სტუდენტის ფონისეული ცოდნის აქტივაციის, პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების. აღნიშნული მეთოდების გამოყენება თავისთავად გულისხმობს ანალიზისა და სინთეზის, დედუქციისა და ინდუქციის სტრატეგიების გამოყენებას.</p>
<p>სასწავლო კურსის გავლასთან დაკავშირებული დამატებითი პირობები</p>	<p>-</p>

დანართი 1

სასწავლო კურსის შინაარსი

N	ლექციის/სემინარის/პრაქტიკუმის/ლაბორატორიული სამუშაოს და ა. შ. თემა	ლიტერატურა (შესაბამისი გვერდების მითითებით)
1	<p><b>ლექცია/სემინარი: ინგლისური ენის ისტორიის პერიოდიზაცია</b>                      ინგლისური ენის ისტორიის ტრადიციული პერიოდიზაცია ძველ, საშუალო და ახალ ინგლისურ პერიოდებად. სხვა თვალსაზრისები ინგლისური ენის ისტორიის პერიოდიზაციაზე.                      პერიოდების მოკლე დახასიათება.</p>	<p>Rastorguyeva T.A. History of English, თავი 4</p>
2	<p><b>ლექცია /სემინარი: ბრიტანეთის ისტორიის მოკლე მიმოხილვა უძველესი დროიდან XI საუკუნემდე</b>                      იბერიელები. კელტები. კელტური ენების კლასიფიკაცია. კელტური ენები თანამედროვე ბრიტანეთში. ბრიტანეთის დაპყრობა რომის იმპერიის მიერ. დასავლეთ გერმანელი ტომების ინგვეონების განსახლების ადგილი კონტინენტზე. ანგლების, საქსებისა და იუტების მიგრაცია ბრიტანეთის კუნძულებზე. მათ მიერ ბრიტანეთის დაპყრობა. გერმანელი ტომების განსახლება ბრიტანეთში და შვიდი სამეფოს – ჰეპტარქიის დაარსება. ქრისტიანობის გავრცელება ბრიტანეთში.</p>	<p>Rastorguyeva T.A. History of English, თავი 5</p>
3	<p><b>ლექცია/სემინარი: ძველი ინგლისური ენის დიალექტები და წერილობითი ძეგლები</b>                      უესექსის დიალექტის დანიშნულება და მისი მნიშვნელობა ძველ ინგლისურ პერიოდში.                      წერილობითი ძეგლები უესექსის დიალექტზე.                      წერილობითი ძეგლები სხვა დიალექტებზე.                      რუნიკული ანბანით შესრულებული წერილობითი ძეგლები.</p>	<p>Rastorguyeva T.A. History of English, თავი 6</p>
4	<p><b>ლექცია/სემინარი: ძველი ინგლისური ენის ფონოლოგიური დონე</b>                      ძველი ინგლისური ანბანი და წარმოთქმა.                      ლათინური ანბანის გავრცელება ბრიტანეთის კუნძულებზე.                      ანგლო-საქსების მიერ გამოყენებული ლათინური ანბანის სახესხვაობა.                      ხმოვანთა სისტემა ძველ ინგლისურში. დიფტონგები. თანხმოვანთა სისტემა.                      მახვილი და ფონეტიკური რედუქციის პროცესი. აბლაუტი. უმლაუტი. გარდატეხა. პალატალიზაცია.</p>	<p>Rastorguyeva T.A. History of English, თავი 7 და 8</p>

	მეტათემა.	
5	<p><b>ლექსია/სემინარი: არსებითი სახელი ძველ ინგლისურში</b>  არსებითი სახელის გრამატიკული კატეგორიები ძველ ინგლისურში.  არსებითი სახელის მორფოლოგიური კლასიფიკაცია.  არსებით სახელთა ძლიერი ბრუნება.  - a - ტიპის ბრუნება (- ja - და - wa - ქვეტიპები);  - o - ტიპის ბრუნება (- jo - და - wo - ქვეტიპები);  - i - ტიპის ბრუნება; - u - ტიპის ბრუნება;  არსებით სახელთა სუსტი ბრუნება (- n - ფუძიანები);  - r -, - s -, - nt - ტიპის ბრუნებები;  ძირისეული არსებითი სახელები.  არსებით სახელთა სუსტი ბრუნება, როგორც გერმანიკული ინოვაცია.  ძველი ინგლისური ენის არსებითი სახელის მორფოლოგია რ. კვერკის „ძველი ინგლისური ენის გრამატიკის“ მიხედვით.  <b>1. პრაქტიკუმი:</b> პარალელურად ძველი ინგლისური ენის წერილობითი ძეგლებიდან ფრაგმენტების კითხვა ძველი ინგლისური ენის ლექსიკონის დახმარებით და ანალიზი (ბედა პატივდებული, “ინგლისელი ერის ისტორია”; “ბეოვულფი” და სხვ.);</p>	Rastorguyeva T.A. History of English, თავი 9, პარაგრაფი 151 - 172
6	<p><b>ლექსია/სემინარი: ზმნა ძველ ინგლისურში</b>  ზმნის გრამატიკული კატეგორიები ძველ ინგლისურში: დრო, პირი, რიცხვი. გვარისა და ასპექტის გრამატიკული კატეგორიების არსებობის საკითხი ძველ ინგლისურში.  ზმნის მორფოლოგიური კლასიფიკაცია. ძლიერი ზმნები ძველ ინგლისურში. ძლიერი ზმნების შვიდი კლასი. ძველი ინგლისური ენის ძლიერი ზმნების აბლაუტის რიგები. სუსტი ზმნები. სუსტი ზმნების სამი კლასი. ძლიერი და სუსტი ზმნების უღლება. პრეტერიტო-პრეზენსული ზმნები ძველ ინგლისურში; ანომალიური ზმნები.  ანალიზური წარმოებები ძველ ინგლისურში.  სუსტი ზმნები, როგორც გერმანიკული ინოვაცია</p> <p><b>2. პრაქტიკუმი:</b> პარალელურად ძველი ინგლისური ენის წერილობითი ძეგლებიდან ფრაგმენტების კითხვა ძველი ინგლისური ენის ლექსიკონის დახმარებით და ანალიზი (ბედა პატივდებული, “ინგლისელი ერის ისტორია”; “ბეოვულფი” და სხვ.);</p>	Rastorguyeva T.A. History of English, თავი 9, პარაგრაფი 189 - 210
7	შუალედური შემოწმება	

8	<p><b>ლექცია/სემინარი: ზედსართავი სახელი ძველ ინგლისურში</b>  ზედსართავი სახელის გრამატიკული კატეგორიები: სქესი, რიცხვი, ბრუნვა, განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობა, შედარების ხარისხები.  ზედსართავი სახელის ორგვარი ბრუნვა – ძლიერი და სუსტი. ზედსართავი სახელის ძლიერი და სუსტი ბრუნვის ფორმების მეშვეობით  განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის გრამატიკული კატეგორიის გამოხატვა ძველ ინგლისურში.  ზედსართავ სახელთა ორგვარი ბრუნვა, როგორც გერმანიკული ინოვაცია.</p> <p><b>3.პრაქტიკუმი:</b> პარალელურად ძველი ინგლისური ენის წერილობითი ძეგლებიდან ფრაგმენტების კითხვა ძველი ინგლისური ენის ლექსიკონის დახმარებით და ანალიზი (ბედა პატივდებული, “ინგლისელი ერის ისტორია”; “ბეოველფი” და სხვ.);</p>	Rastorguyeva T.A. History of English, თავი 9, პარაგრაფი 183 - 188
9	<p><b>ლექცია / სემინარი: ძველი ინგლისური ლექსიკა</b>  ძველი ინგლისური ლექსიკის ეტიმოლოგიური მიმოხილვა. ეტიმოლოგიური შრეები ძველ ინგლისურში. ნასესხეობა ძველ ინგლისურში.  სიტყვის სტრუქტურა.  სიტყვათწარმოება: სუფიქსაცია, პრეფიქსაცია, სიტყვათა თხზვა.  ძველი ინგლისური ლექსიკის სტილისტური შრეები.</p> <p><b>4.პრაქტიკუმი:</b> პარალელურად ძველი ინგლისური ენის წერილობითი ძეგლებიდან ფრაგმენტების კითხვა ძველი ინგლისური ენის ლექსიკონის დახმარებით (ბედა პატივდებული, “ინგლისელი ერის ისტორია”; “ბეოველფი” და სხვ.);</p>	Rastorguyeva T.A. History of English, თავი 10
10	<p><b>ლექცია / სემინარი 10: ბრიტანეთის ისტორიის მოკლე მიმოხილვა საშუალო და ახალ ინგლისურ პერიოდებში</b>  ბრიტანეთის დაპყრობა სკანდინაველთა და ფრანგ-ნორმანთა მიერ.  სკანდინავური და ფრანგული ენების გავლენა ინგლისური ენის შემდგომ განვითარებაზე.  ინგლისური ენის დიალექტები ადრეულ საშუალო ინგლისურ პერიოდში.  დიალექტური დაქუცმაცებულობა.  ინგლისური ენის მიერ სახელმწიფო ენის სტატუსის დაბრუნება.  ლონდონის დიალექტის დანინაურება გვიანდელ</p>	Rastorguyeva T.A. History of English, თავი 11, 12

	<p>საშუალო ინგლისურ პერიოდში. ლონდონის დიალექტის მოკლე ისტორია.</p> <p>საშუალო ინგლისური პერიოდის წერილობითი ძეგლები. ჩოსერის ეპოქა.</p> <p>ლიტერატურული და ეროვნული ინგლისური ენის ჩამოყალიბება.</p> <p>ნორმალიზაციის ეპოქა (XVII – XVIII საუკუნეები).</p> <p>ინგლისური ენის გავრცელება დიდი ბრიტანეთის ფარგლებს გარეთ.</p> <p><b>5. პრაქტიკუმი:</b> ფრაგმენტების კითხვა და ანალიზი საშუალო ინგლისური ენის წერილობითი ძეგლიდან ჯ. ჩოსერის “კენტერბერიული მოთხრობები”;</p>	
11	<p><b>ლექცია/სემინარი: ინგლისური ენის ფონეტიკური სისტემის ევოლუცია XI – XVIII საუკუნეებში</b></p> <p>საშუალო ინგლისური ენის ანბანი და კითხვის წესები.</p> <p>ცვლილებები სიტყვების დანერგობაში ფრანგული ენის გავლენით.</p> <p>ხმოვანთა ფონეტიკური ცვლილებები უმახვილო პოზიციაში.</p> <p>ხმოვანთა თვისებრივი ცვლილებები საშუალო ინგლისურ პერიოდში.</p> <p>ხმოვანთა რაოდენობრივი ცვლილებები საშუალო ინგლისურ პერიოდში.</p> <p>ძველი ინგლისური დიფთონგების მონოფთონგიზაცია საშუალო ინგლისურ პერიოდში.</p> <p>ხმოვანთა თვისებრივი ცვლილებები ახალ ინგლისურ პერიოდში.</p> <p>ხმოვანთა რაოდენობრივი ცვლილებები ახალ ინგლისურ პერიოდში.</p> <p>ხმოვანთა დიდი გადაწევა.</p> <p>ახალი დიფთონგების წარმოქმნა საშუალო და ახალ ინგლისურ პერიოდში ზოგიერთი თანხმოვნის ვოკალიზაციის შედეგად.</p> <p>თანამედროვე ინგლისური მართლწერის ისტორიული საფუძვლები.</p> <p><b>6. პრაქტიკუმი:</b> ფრაგმენტების კითხვა და ანალიზი საშუალო ინგლისური ენის წერილობითი ძეგლიდან ჯ. ჩოსერის “კენტერბერიული მოთხრობები”;</p>	Rastorguyeva T.A. History of English, თავი 13, 14
12	<p><b>ლექცია / სემინარი: არსებითი და ზედსართავი სახელების მორფოლოგიური სისტემების ევოლუცია XI – XVIII საუკუნეებში</b></p> <p>არსებითი სახელების ბრუნვის ტიპების უნიფიკაცია საშუალო ინგლისურ პერიოდში.</p> <p>დაბოლოებების რედუქცია და ძველი ინგლისური ბრუნვის სისტემის რღვევა.</p> <p>სქესის გრამატიკული კატეგორიის დაკარგვა.</p>	Rastorguyeva T.A. History of English, თავი 15, პარაგრაფი 424 - 462

	<p>რიცხვისა და ბრუნვის გრამატიკული კატეგორიების ევოლუცია საშუალო და ახალ ინგლისურ პერიოდებში.  არტიკლის განვითარება საშუალო ინგლისურ პერიოდში.  ზედსართავი სახელის ფლექსიური სისტემის რღვევა საშუალო ინგლისურ პერიოდში.  ზედსართავი სახელის მიერ გრამატიკული კატეგორიების დაკარგვა.  ზედსართავი სახელის შედარების ხარისხების გრამატიკული კატეგორია საშუალო და ახალ ინგლისურ პერიოდებში.</p>	
13	<p><b>ლექცია / სემინარი: ზმნის მორფოლოგიური სისტემის ევოლუცია XI – XVIII საუკუნეებში</b>  ცვლილებები ძლიერი და სუსტი ზმნების სისტემაში საშუალო ინგლისურ პერიოდში.  ძლიერი ზმნების წარსული დროის ფორმების უნიფიკაცია.  ძლიერი ზმნების გადასვლა სუსტი ზმნების ჯგუფში.  სუსტი ზმნების კლასების უნიფიკაცია.</p>	Rastorguyeva T.A. History of English, თავი 15, პარაგრაფი 463 - 527
14	<p><b>ლექცია / სემინარი: ზმნის მორფოლოგიური სისტემის ევოლუცია XI – XVIII საუკუნეებში</b>  პრეტერიტო-პრეზენტული ზმნებიდან მოდალური ზმნების განვითარება.  ზმნის ანალიზური ფორმების განვითარება.  მომავალი დრო. ვნებითი გვარი. კავშირებითი კილო. პერფექტული და განგრძობითი დროები.</p>	Rastorguyeva T.A. History of English, თავი 15, პარაგრაფი 463 - 527
15	<p><b>ლექცია / სემინარი: ინგლისური ენის ლინგვისტური ცვლილებების მიზეზები და მათი ანალიზი</b>  ინგლისური ენის ღრმა ლინგვისტური ცვლილებების გამომწვევი მნიშვნელოვანი ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორების ანალიზი:  1. გერმანიკული მახვილი და მის მიერ გამოწვეული ფონეტიკური რედუქციის პროცესი;  2. უკიდურესი დიალექტური დაქუცმაცებულობა ადრეულ საშუალო ინგლისურ პერიოდში;  3. სკანდინავიური ენის სილრმისეული გავლენა ინგლისურ ენაზე, რაც გამოწვეული იყო ახლო მონათესავე გერმანელი ტომებისა და გერმანიკული ენების ურთიერთკავშირით ბრიტანეთის კუნძულებზე;  სკანდინავიური ენის გავლენა ინგლისური ენის ფლექსიური სისტემის რღვევაზე;  4. ფრანგული ენის გავლენა ინგლისური ენის განვითარებაზე.  5. ინგლისური წერილობითი ტრადიციის შეწყვეტა</p>	Rastorguyeva T.A. History of English, თავი 15, პარაგრაფი 547 - 555



	ფრანგ-ნორმანთა სამსაუკუნოვანი ბატონობის პერიოდში.	
--	---	--